ხელშეკრულება № 24/02/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 24 თებერვალი 2023 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (CPV 30216110)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის, (ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 30 დეკემბრის N01-163 ბრძანება), თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „ორიენტ ლოჯიკ" წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ალექსანდრე ბაგრატიას სახით შემდგომში "მიმწოდებელი" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს 65 ერთეული სკანერი Epson WorkForce DS-870 შემდგომში „საქონელი", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგენს 171 080 (ას სამოცდათერთმეტი ათას ოთხმოცი) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ერთეულის ფასები მოცემულია დანართში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება არაუგვიანეს 2023 წლის 10 მარტისა.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დ. აღმაშენებლის ხეივანი N138, ცესკოს ადმინისტრაციული შენობა.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი მიწოდებულ იქნება დროულად, ხელშეკრულების პირობების დაცვით.

5.2 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის მანძილზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6.4. მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების დაკისრების შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან განხორციელდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის საქონლის ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.4 იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდების ვადა 10 დღით აღემატება 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.

10.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მათ;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიწოდებულის საქონელი. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის წარმომადგენლები: საფინანსო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვახტანგ კვატაშიძე და საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის, საინფორმაციო სისტემების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბაკურ წურწუმია.

12.2 კონტროლის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს:

ა) გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;

ბ) განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს;

გ) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება;

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

12.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ``ფორს-მაჟორი`` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების 5.2 პუნქტისა, რომელიც მოქმედებს გარანტიის ვადის ამოწურვამდე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**მიმწოდებელი** **შ.პ.ს "ორიენტ ლოჯიკ"**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N138 საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: (995 32) 2510051 სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900; კოდი: 220101222	ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. N71 საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054 ტელ: 2 541818; სს ბაზის ბანკი კოდი: CBASGE22 ა/ა GE96BS0000000005936872
გიორგი შარაბიძე **თავმჯდომარის მოადგილე**	**ალექსანდრე ბაგრატია** **დირექტორის მინდობილი პირი**

Central Election Commission of Georgia
Digitally signed by Central Election Commission of Georgia
Date: 2023.02.24 16:05:30 +04'00'

ORIENT LOGIC LLC
Digitally signed by ORIENT LOGIC LLC
Date: 2023.02.24 16:45:08 +04'00'

დანართი

#	დასახელება	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	მთლიანი ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	**Epson WorkForce DS-870** სკანერის ტიპი: feeder; ავტომატური დოკუმენტის მიმწოდებლის ტიპი: Single pass dual scanning მიმწოდებლის (feeder) სიჩქარე: 65 ppm / 130 ipm; ოპტიკური რეზოლუცია: 600 dpi; ყოველდღიური სამუშაო ციკლი: 7000 გვერდი; ბიტის სიღრმე: 30-ბიტიანი (შიდა) / 24-ბიტიანი (გარე); დოკუმენტის მიმწოდებლის მოცულობა: 100 ფურცელი; ქაღალდის მინიმალური ზომა: 50,8 x 50,8 მმ; ქაღალდის მაქსიმალური ზომა: 215,9 x 6096 მმ; სკანირება / გაგზავნა: Scan to Email, Scan to FTP, Scan to Microsoft SharePoint, Scan to Print, Scan to Web folders გამომავალი ფორმატები: BMP, JPEG, TIFF, multi-TIFF, PDF, searchable PDF, PDF/A, PNG კავშირი: USB 3.0 გარანტია: 1 წელი	65	ცალი	2 632	171 080
				სულ ჯამი	**171 080**

შემსყიდველი
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მიმწოდებელი
შპს „ორიენტ ლოჯიკ“

გიორგი შარაბიძე
თავმჯდომარის მოადგილე

ალექსანდრე ბაგრატია
დირექტორის მინდობილი პირი